Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განვიათრებაში გურჯაანისა და გორის შედარებითი ანალიზი

ნათელა თიბილოვი

გიორგი გულეური

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: natela.tibilov031@sps.tsu.edu.ge

Email: giorgi.guleuri130@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

საქართველოს მთავრობის მიერ, 2020 წელს დამტკიცებული " 2020-2030 წლის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის" ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალგაზრდებისთვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მისი შესრულება ევალება ყველა მუნიციპალიტეტს, რაც ნიშნავს სათანადო ყურადღების მიქცევას ახალგაზრდებისთვის, თუმცა დოკუმენტში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული თითოეული მუნიციპალიტეტიდან გამომდინარე, როგორ უნდა გატარდეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკა. სწორედ ამიტომ ამ საკითხის გადატანა მუნიციპალურ დონეზე და ფართოდ გაშლა მნიშვნელოვანია, რათა ვიწრო ჭრილში დავინახოთ , ამ შემთხვევაში გორისა და გურჯაანის მაგალითზე, როგორ ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკა. გურჯაანისა და გორის მუნიციპალიტეტების შერჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ორგანიზაციების საკმაოდ დიდ რაოდენობა იყრის თავს, ხოლო კონტრასტის სახით გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები ფაქტობრივად არ გვხვდება. შესაბამისად ეს ორი მუნიციპალიტეტი ერთმანეთის ანტიპოდს წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია თუ რა როლს ასრულებს აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციები თვითმმართველობის განვითარებაში, რა მიდგომები არსებობს მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების გაძლიერების, ჩართულობის კუთხით. აქედან გამომდინარე კვლევის მიზანსაც შესაბამისად ვაყალიბებთ, დავადგინოთ როგორ ურთიერთქმედებენ ახალგაზრდული ორგანიზაციები და თვითმმართველი ორგანოები, რა როლი მიუძღვის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თვითმმართველობის განვითარებაში და შეადგენენ თუ არა ისინი საჭირო კომპონენტს მუნიციპალიტეტისთვის. მიზნებიდან გამომდინარე კვლევის კითხვას შემდეგნაირად ვსვამთ: რა გავლენა აქვს არასამთავრობო თუ სამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში და პირიქით, რა პოლიტიკას ატარებს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები ახალგაზრდებისა და მათი გაერთიანებების მიმართ.

საკვანძო სიტყვები : დელეგირება, თვითმმართველობა, პოლიტიკური სისტემა, ადგილობრივი დემოკრატია, ეკვილიბრიუმი.

შესავალი

დემოკრატიზაციის კვალდაკვალ განვითარებულმა მოვლენებმა ხაზგასმით დაგვანახა პოლიტიკურ სისტემაში ორგანიზაციების როლი, რომლებიც უშუალოდ ერთვებიან და ზეგავლენას ახდენენ ქვეყანაში არსებულ იმ პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებიც კარდინალურად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის. როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფარგლებში იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ დაირღვეს კონკრეტული ცნების არსი, ვინაიდან, წარმომადგენლობითი დემოკრატია თავის თავში გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში საზოგადოება არჩევნების საშუალებით საკუთარ ხმას გადასცემს მისთვის ლეგიტიმურ და გამორჩეულ კანდიდატს, რომელსაც ამ პრინციპით ენიჭება უფლებამოსილება, იმის, რომ იყოს თავისი ელექტორატის ინტერესებისა და პრობლემების გამომხატველი, ვინაიდან მას პასუხისმგებლობა აკისრია ხალხის წინაშე (Urbinati, 2011). დემოკრატიული პროცესის სრულყოფაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ ადგილობრივ თვითმმართველობები, ისინი უფრო მჭიდროდ და უშუალოდა არიან დაკავშირებული საკუთარ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებთან, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. ერთის მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციების და ახალგაზრდების ეფექტური ფუნქციონირება შესაძლოა საზოგადოებისთვის, მუნიციპალიტეტისთვის კეთილდღეობისა და ცვლილების მომტანი გახდეს. (Checkoway, 2010) მეორე მხრივ, ახალგაზრდები, როგორც მოქალაქეები ხელისუფლების მაკონტროლებელი პირები არიან. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე გატარებული პოლიტიკის ეფექტურობის გასაზრდელად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი ჩართულობა და ამავე დროს ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. თაობათა ცვლის შედეგად სწორედ ახალი თაობის ღირებულებები და ხედვები იქცევა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო კურსის წარმმართველად, აქედან გამომდინარე ხელისუფლება უნდა ათვითცნობიერებდეს იმ საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც ახალგაზრდების პოლიტიკაში თუ საჯარო პროცესებში ინტეგრირების სახით არსებობს. ახალი თაობა წარმოადგენს ახალ ძალას, რომლებიც ცვლილებებისადმი მიმღებლები არიან, ხოლო ეგრეთ წოდებული „მამების“ თაობა შედარებით კონსერვატიულია. აქედან გამომდინარე, გარკვეული დაბალანსებით მუნიციპალურ დონეზე, მათი კომბინაცია ეფექტური ადგილობრივი დემოკრატიის ჩამოყალიბების საშუალებაა. მუნიციპალიტეტების განვითარება თავისთავად ქვეყნის განვითარებასთან არის კავშირში და „ნაწილების“ დემოკრატიზებით „მთელის“ დემოკრატიულ რეჟიმს ვიღებთ. საქართველოს ახალგაზრდული დოკუმენტის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება იაზრებს ახალგაზრდების პოტენციალის, მისწრაფებების სრული გამოვლინებისა და შემდგომი რეალიზაციისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო და შესაფერისი პირობები. საჭიროა, რომ აწარმოოს ინტეგრირებაზე ორიენტირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად (პარლამენტი, საქართველოს, 2020). სწორედ, ამ გაცხადებული პოლიტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1)სახელმწიფო ვალდებულია ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, ირიბად, ხელი შეუწყოს ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნას, ჩამოყალიბებასა და შემდგომ ფუნქციონირებას. 2) შეამციროს ადგილობრივ დონეზე ბიუროკრატია, რაც გაზრდის ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის სტიმულს, ითანამშრომლონ თვითმმართველ ორგანოებთან. 3) ამავე დროს ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელი უნდა შეუწყოს

ცნობიერების ამაღლებას, ახალი თაობის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ. ადგილობრივი დემოკრატიის დონის გასაზრდელად საჭიროა საზოგადოების თითოეული სეგმენტის ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და გადაწყვეტილების პროცესში მათი ინტეგრირება. (Phillips, 1996) თავისთავად საზოგადოების ერთ-ერთ სეგმენტს ახალგაზრდობა წარმოადენს. მათი მოწყვეტით პოლიტიკური ცხოვრებიდან, იკარგება ის ინტერესი და მოთხოვნა, რაც ახალგაზრდებს გააჩნიათ. საბოლოოდ კი პოლიტიკა ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინების გარეშე იქმნება. თვითმმართველობა თავად უნდა იაზრებდეს ახალგაზრდების და მათი გაერთიანებების საჭიროებას, რადგან ადგილობრივი ახალგაზრდული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ ძალას, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაამყარონ ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმაცია, გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდების ინტერესების მოსმენით, პრობლემის გადაჭრის და მასში ჩართულობის შედეგად შესაძლებელია ახალგაზრდების როგორც სოციალური ჯგუფის კეთილგანწყობის მოპოვება. გარდა ამის, რაც უფრო ჩართულია ადამიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მით უფრო მოსწონს მას ის ღონისძიებები, თუ პროექტები, რომლებიც ხორციელდება, გამომდინარე იქიდან, რომ ის ამ პროცესში დებს საკუთარ ადამიანურ რესურს, ენერგიას და მეტადაც აფასებს საბოლოო შედეგს, რაც რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციას პირდაპირპროპორციულად ამყარებს. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე ვფიქრობთ, კვლევისთვის საინტერესოა რამდენად ვლინდება განსხვავება ახალგაზრდულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორია მათი დამოკიდებულება მუნიციპალურ დონეზე მთავრობასთან. გამომდინარე აქედან შევარჩიეთ ორი მუნიციპალიტეტი შემდეგი პრინციპით: გორის მუნიციპალიტეტში გვხვდება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია,ხოლო სამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ფლუიდური ხასიათისაა ან წინა საარჩევნოდ აქტიურდებიან. 2023 წლის მონაცემებით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ვხვდებით ერთ მსხვილ სამთავრობო ორგანიზაციას, ხოლო გამოკითხული რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციით, არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას. ასევე, უნდა ითქვას ისიც, რომ გორში რამდენიმე ორგანიზაციაში ერთად დაახლოებით 150-მდე ახალგაზრდაა გაერთიანებული, ხოლო გურჯაანში კი ერთ სამთავრობო ორგანიზაციაშია ახალგაზრდების დაახლოებით იგივე რაოდენობა ჩართული. **კვლევის მეთოდოლოგია** საკითხის კვლევისას გამოვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდს, რომელიც თავის მხრივ იყოფა შემდეგ ნაწილებად- დოკუმენტის ანალიზი, სოციალური ქსელების კონტენტ ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ.

გავაანალიზეთ 2020-2030 წლის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი , რომლის მეშვეობითაც დავადგინეთ, საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით რა ევალებოდათ მუნიციპალიტეტში არსებულ თვითმმართველ ორგანოებს ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშესაწყობად, აგრეთვე, გაანალიზებული ინფორმაციის შედეგად გამოვყავით ის ზოგადი ტენდენცია, რასაც საქართველოს მთავრობა ზოგადად ატარებს ახალგაზრდების მიმართ.

ჩვენს მიერ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული ორგანიზაციების უმეტესობას, საკუთარი სოციალური ქსელი გააჩნია. აღნიშნული სოციალური ქსელები კონკრეტული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების კარგი საშუალებაა, აქედან გამომდინარე, ორივე მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების სოციალურ ქსელებში,

განსაკუთრებით, მათ Facebook-ის ოფიციალურ გვერდებზე აქტიურად ქვეყნდება მათი მიზნები და ამ მიზნებამდე მისასვლელად განხორციელებული პროექტები. შესაბამისად, სოციალური ქსელების კონტენტ ანალიზი ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც დავადგენთ, თუ ძირითად რა ტიპის აქტივობებს ახორციელებენ გორსა და გურჯაანში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციები. რაც მთავარია, კონტენტ ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ ვისი ეგიდით ახორციელებენ ორგანიზაციები კონკრეტულ პროექტებს, ვისთან თანამშრომლობენ, ვისგან ფინანსდებიან, რამდენად არიან ისინი ფინანსურად დამოკიდებულნი მუნიციპალურ ბიუჯეტზე და რამდენად ემთხვევა მათ მიერ ადგილობრივ დონეზე გატარებული პოლიტიკა თვითმმართველი ორგანოს იდეოლოგიას. ვინაიდან, მხოლოდ კონტენტ ანალიზით რთულია მივიღოთ ამომწურავი და სრულყოფილი ინფორმაცია, კვლევის პროცესში ჩავატარეთ 6 ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ გორისა და გურჯაანის მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან და მერიის რიგით თანამშრომლებთან, რომლებიც მონაწილეობენ ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმარება-განხორციელებაში. იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული სტატია არ ეფუძნება მხოლოდ ერთი მხარის აღქმას, ჩართულობასა და განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროა ინფორმაციის მიღება, როგორც გორსა და გურჯაანში თვითმმართველ ორგანოში (მერია, საკრებულო) მომუშავე ადამიანებისგან, ისე სამთავრობო თუ არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან. კვლევის ფარგლებში, გორში ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით გამოვკითხეთ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (კვლევის პროცესში მონაწილეობდა თითო ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენელი), ხოლო გურჯაანში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის არარსებობის გამო გამოვკითხეთ მუნიციპალიტეტში, კულტურის ცენტრთან არსებული სამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდული საბჭოს“ პრეზიდენტი და ორგანიზაციის წევრი 2 ახალგაზრდა, რომელთა პასუხებმაც საშუალება მოგვცა შეგვედარებინა გორსა და გურჯაანში ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში და პირიქით, ადგილობრივი თვითმმართველობების როლი მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ახალგაზრდული ორგანიზაციების როლის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საკითხში, თითქმის არ არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა, ხოლო მის მოძიებას კიდევ უფრო ართულებს კონკრეტულად მუნიციპალიტეტის დონეზე საკითხის გაანალიზება. რაც, ერთი მხრივ, შესაძლოა ართულებდეს კვლევის პროცესს ლიტერატურის მოძიების კუთხით, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამს მის უნიკალურობას და საჭიროებას ქართულ სამეცნიერო სივრცეში. დემოკრატიის სტატუსის განსაზღვრა ქვეყანაში, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მოქმედებით არ განისაზღვრება. სახელმწიფო ცალკე აღებული მისი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით პატარა დემოკრატიებად იყოფა, რაც ფაქტობრივად გულისხმობს რომ სახელმწიფო ერთგვარი *ფაზლია.* შესაბამისად მისი პატარა ნაწილების ჰარმონიული შეერთებით შეგვიძლია დემოკრატიამდე მივიდეთ, აქედან გამომდინარე მუნიციპალურ დონეზე დემოკრატიის შექმნა

დაკავშირებულია მთლიანი ქვეყნის დემოკრატიის დონის გაზრდასთან, ხოლო ლოკალურ დონეზე დემოკრატია შესაძლებლობაა საზოგადოებისთვის, რათა ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში (Pratchett, Local Autonomy, Local Democracy and the 'New Localism', 2004), ხოლო ვინაიდან ახალგაზრდები საზოგადოების ნაწილს შეადგენენ , ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, მათ ხელს უწყობს გაატარონ ის პოლიტიკა, რაც მათ ინტერესშია. ახალგაზრდები ფაქტობრივად ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ, რომელთაც თაობათა ცლის შემდგომ ფაქტობრივად ქვეყნის სათავეები უნდა გადაიბარონ, მათი გაძლიერება თავად ხელისუფლებასაც უნდა სურდეს, რათა ქვეყნის განვითარება უწყვეტად მიმდინარეობდეს. თავისთავად ამისთვის საჭიროა ახალგაზრდების მიმართ იმგვარი პოლიტიკის გატარება , რომელიც მათზე, მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული და მაქსიმალურად ახალგაზრდების ინტერესების წარმოჩენას შეუწყობს ხელს. ახალგაზრდები, რომ ქვეყნის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ და გააჩნიათ პოტენციალი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში საკუთარი წვლილი შეიტანონ , აღნიშნულია საქართველოს 2020-2030 წლების საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაშიც (საქართველოს პარლამენტი , 2017). აღნიშნული დოკუმენტის მიუხედავად, მნიშვნელოვანია შევადაროთ ერთმანეთს, თუ რეალობაში როგორია ახალგაზრდული ორგანიზაციების ინტერესი, მათი გავლენა ადგილობრივ დონეზე და აქედან გამომდინარე შეესაბამება თუ არა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ სტრატეგიას. დოკუმენტის ცენტრალიზებული ხასიათიდან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ სწორედ ცენტრალური ხელისუფლებაა მთავარი წარმმართველი ძალა ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში. კერძოდ, არა ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ხელისუფლება ადგენს თუ რა პრიორიტეტებს უნდა მიექცეს ყურადღება ახალგაზრდების მიმართ, აქედან გამომდინარე ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტობრივად აღმასრულებლის როლს ირგებს, ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების კუთხით.

ახალგაზრდული ორგანიზაციები ფაქტობრივად მოწყვეტილნი არიან პოლიტიკურ პროცესებსა თუ მმართველობით პროცესს, როდესაც მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივი მთავრობა ჩაკეტილია და არ გამოირჩევა მიმღებლობით მსგავსი ორგანიზაციებისადმი. ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობა ლოკალური პოლიტიკური სისტემის ეფექტიანობას უზრუნველყოფს, რაც გამოიხატება იმით, რომ ახალგაზრდებისა (ინდივიდუალური დონე) თუ მათი გაერთიანებების (ორგანიზაციული დონე) ჩართულობა პოლიტიკურ სისტემას აძლევს საშუალებას, რომ საზოგადოების აღნიშნული ნაწილის ინტერესები უფრო მეტად იყოს გათვალისწინებულ-დაკმაყოფილებული. ამ შემთხვევაში იკვეთება ორი ასპექტი,რაც გულისხმობს ერთი მხრივ იმას რომ ახალგაზრდებს თავად სჭირდებათ ინტეგრირება, რათა მათი აზრი უფრო ნათლად ჩანდეს და მეორე მხრივ თავად პოლიტიკური ქვესისტემის ეფექტურობის მოთხოვნაა მათი გააქტიურება. აქედან გამომდინარე, როგორც მუნიციპალიტეტს ისე ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ცენტრალური როლი უკავიათ ახალგაზრდების ჩართულობის და გააქტიურების კუთხით (Esebua, Chacanidze, Rukhaadze, & Potskhverashvili, 2020).

ადგილობრივი თვითმმართველობა თავის თავში მოიაზრებს პროცესს, სადაც საკითხი მოქალაქეთა ჩართულობის მეშვეობით უნდა გადაწყდეს, ხოლო ამ ჩართულობის პროცესში შესაძლოა ვიგულისხმოთ ახალგაზრდებიც, რომლებიც მოქალაქეთა ნაწილს შეადგენენ,

შესაბამისად მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აზრის დაფიქსირებამ შესაძლოა პრობლემის გადაჭრის ახალი ხედვა წარმოშვას, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღების პროცესზე რეალურად ვერ ახდენენ გავლენას მაშინაც კი, როდესაც ეს გადაწყვეტილება პირდაპირ დაკავშირებულია თავად ახალგაზრდებთან (საქართველოს პარლამენტი , 2017) და აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების იმ ნაწილთან, რომლებიც ახალგაზრდულ არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებში არიან გაწევრიანებულნი. ლოგიკურია გაჩნდეს შეკითხვა, თუ რამდენად შეგვიძლია ვისაუბროთ დემოკრატიაზე, იქნება ეს ლოკალური თუ სახელმწიფო დონის მაშინ, როდესაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ ახდენს, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ჩამოყალიბებული სტრატეგია თუ განსახორციელებელ ქმედებათა ჩამონათვალი ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციისთვის (Esebua, Chacanidze, Rukhaadze, & Potskhverashvili, 2020). ეს კი მთლიანობაში წარმოშობს სახელმწიფო პრობლემას, რადგან ნაწილების გაუმართაობა მთელის გაუმართაობის ტოლფასია და პირიქით. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია არსებობდეს მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების კუთხით გასატარებელი პოლიტიკა და თვითმმართველობა დამოკიდებული არ იყოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რადგან საზოგადოება ვერ მიაღწევს მდგრადობას და ეფექტურ ფუნქციონირებას, როდესაც მისი წევრობის ძირითადი სეგმენტი მოწყვეტილია გადაწყვეტილების მიღების პროცესს და მასზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას (Zeldin, McDaniel, Topitzes, & Calvert, 2000). ასე რომ, ახალგაზრდების ჩართვა ადგილობრივ თვითმმართველობაში არა მარტო თვითმმართველი ორგანიზაციების მისწრაფება უნდა იყოს, არამედ საზოგადოების ნაწილიც უნდა ათვითცნობიერებდეს მათ საჭიროებას პრობლემის გადაჭრის დროს.

დელეგირების დელეგირება

სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ ძალაუფლებას, გადააბარებს მის მიერ არჩეულ მთავრობას, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალაუფლება ის ძალაა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს სახელმწიფოს სახელით (Haugaard, 2014). გადაცემული ძალაუფლება თავდაპირველად ცენტრიდანულია, სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ცენტრალური ხელისუფლება დიდი პასუხისმგებლობით აღიჭურვება. ვინაიდან რთულია სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის მართვა ცენტრალური ნაწილიდან, ამის გამო მთავრობა საკუთარი ძალაუფლების ნაწილს ასხვისებს, რაც საქართველოს პრაქტიკაში, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომელიც ქვეეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს და საკუთარი იურისდიქციით შემოიფარგლება (K.Miler, 2002)

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ლოგიკურად, მსგავსი ორგანოები საქართველოში დაქვემდებარებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებას და მათგან იღებენ გარკვეული სახის დირექტივებს, ატარებენ მათგან ნაკარნახევ ზოგად პოლიტიკას და უჭირთ დამოუკიდებლად ადგილობრივ დონეზე საკითხის გადაწყვეტა (ბაღდავაძე, 2019).

დელეგირების მოდელის შემდეგად ვიღებთ ორ აგენტს, ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივ ხელისუფლებას. რომლის შედეგადაც ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებლობის განაწილების მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობას გადასცემს ძალაუფლებას (Sloman, 1990), თუმცა, გარდა ამ ორი აგენტისა, კვლევის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის, კულტურისა და განათლების დეპარტამენტის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგად ვადგენთ, რომ დელეგირების პროცესი მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბებით არ მთავრდება და ეს პროცესი შემდგომ ლოკალურ დონეზეც გრძელდება. ადგილობრივ დონეზე დელეგირების აგენტები კი, უკვე თვითმმართველი ორგანო და ორგანიზაციები არიან.

სწორედ, ამ ორგანიზაციებსა და თვითმმართველობას შორის ურთიერთობა არის ადგილობრივი პოლიტიკის ნაწილი, რაც გულისხმობს მათ შორის ფინანსურ ურთიერთობასაც ანუ შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფას ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის ნაწილი სწორედ ახალგაზრდული ინიციატივებისთვისაა გამოყოფილი, რაც თავის მხრივ ემსახურება გორის მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების გააქტიურებასა და მათი პროექტების დაფინანსებას, რომელიც ძირითადად ახალგაზრდების ინიციატივიდან გამომდინარე იგეგმება. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებით, რომლის ინიციატორებიც თავად არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს იმ ინტერესთა ჯგუფების დაკმაყოფილებას, როგორიცაა მაგალითად- ახალგაზრდული ორგანიზაციები. ლაკონიურად რომ ვთქვათ, ადგილობრივი თვითმმართველობა საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საკუთარი წვლილი შეიტანონ მუნიციპალიტეტის განვითარებაში, რითაც საკუთარ პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის განვითარების კუთხით, უნაწილებს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. რის შედეგადაც, ვიღებთ დელეგირების დელეგირებას. მსგავსი ფენომენი მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტისთვის, რადგან ამით საშუალება ეძლევათ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თავად წარმოადგინონ პრობლემები, ანუ მათი ინიციატივით მოხდეს პრობლემათა იდენტიფიცირება და შემდგომში ამ პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტის საფუძველზე. ახალგაზრდული ორგანიზაციის „ახალი თაობის“ წარმომადგენლის განცხადებით, გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებული აქტივობები ძირითადად გასართობ-შემეცნებითი ხასიათისაა და ხშირად გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერაა დაფინანსებული. აქედან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები ზრუნავენ ახალგაზრდების გააქტიურებაზე, მათ ჩართულობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ხოლო, სწორედ დელეგირების დელეგირების გზით უზრუნველყოფენ იმას, რომ მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში რთავენ იმ ინტერესთა ჯგუფს, როგორიცაა ახალგაზრდული ორგანიზაციები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თვითმმართველობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ. რადგან გორში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რომლებიც მუშაობენ, ინტელექტუალური განვითარების, გასართობი ღონისძიებების დაგეგმვის, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების კუთხით. რის

საშუალებითაც თავად ახალგაზრდები ხდებიან ის აქტორები, რომელთაც უშუალოდ წვლილი შეაქვთ ქალაქის გამოცოცხლება-განვითარებაში. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ გორის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში არ ვხვდებით არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების ასეთ ფართო სპექტრს, შესაბამისად, ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით გურჯაანის მუნიციპალიტეტში შესაძლოა ვივარაუდოთ მნიშვნელოვანი ჩავარდნაა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების არ არსებობით შესაძლოა პოლიტიკური სისტემის გარკვეული ასპექტების დარღვევასთან გვქონდეს საქმე. ვინაიდან, პოლიტიკური სისტემა იდეურ დონეზე მოიცავს ინტერესთა არტიკულაციასა და აგრეგირებას, (Storm, Dalton, & Bingham Powell Jr, 2015). თუმცა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში არტიკულაციისა და აგრეგირების მთავარ ბერკეტად წარმოგვიდგება სამთავრობო ორგანიზაცია, რომელშიც ახალგაზრდების იმგვარ გაერთიანებას ვხვდებით, რომლებიც საკუთარი ნებით პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილეობას იღებენ. მიუხედავად იმის, რომ გურჯაანში ფაქტობრივად არ არსებობს არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციები, ამის საპირისპიროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვხვდებით ახალგაზრდების ისეთ გაერთიანებას, როგორიცაა „ახალგაზრდული საბჭო“. ორგანიზაციის არსებული პრეზიდენტის განმარტებით, ეს არის 14-იდან 29 წლამდე 100-ზე მეტი პირის ისეთი გაერთიანება, რომელიც სამთავრობო ხასიათის მატარებელია და ფინანსდება უშუალოდ ხელისუფლების მიერ. მათ 2023 წლის მონაცემებით ყოველ პროექტზე გამოეყოფათ 10 000 ლარი, რომლის გახარჯვაც შეუძლიათ სხვადასხვა ტიპისა და მიმართულების ღონისძიებებში, როგორებიცაა: სპორტი და კულტურა, ტურიზმი, ეკოლოგია და არაფორმალური განათლება. კონკრეტულ შემთხვევაში, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების ალტერნატივას წარმოადგენს სამთავრობო ორგანიზაცია, რაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობას მუნიციპალიტეტის დონეზე, რომლებსაც ,მაგალითად, არ სურთ სამთავრობო ორგანიზაციაში გაერთიანება.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ გორისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია იმ კუთხით, რომ არტიკულაციისა და აგრეგირების კომპონენტი განსხვავებულია ამ ორი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში. თუ ერთგან ვხვდებით არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების, ფართო სპექტრს და არც ერთ სამთავრობო ორგანიზაციას, მეორე შემთხვევაში სიტუაცია პირიქითაა. რაც გულისხმობს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციები არ ფუნქციონირებენ და მის ალტერნატივად ახალგაზრდებს სამთავრობო ორგანიზაციაში გაერთიანება შეუძლიათ, რომელიც საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებს. გურჯაანის შემთხვევაში დელეგირების ასპექტი უფრო ნათლად ჩანს, რაც გამოხატულია სამთავრობო ორგანიზაციის არსებობით, რომელიც უშუალოდ ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარებას ემსახურება ადგილობრივ დონეზე, ვინაიდან ორგანიზაცია ფუნქციონირებს სახელმწიფო სამსახურის ეგიდითა და კურატორობით, როგორიცაა ქალაქ გურჯაანის კულტურის ცენტრი.

ცენტრალიზაციის დონე დეცენტრალიზაციისთვის

ახალგაზრდული ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთმიმართების შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელ ქმედებას და რაც გამოხატულია დეცენტრალიზაციის საკითხით. თავისთავად პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ზოგადად დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს (Mookherjee, 2015). როდესაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას ვეხებით საქმე გვაქვს ორმაგ დეცენტრალიზაცია-ცენტრალიზაციასთან, რაც გულისხმობს, რომ ერთი მხრივ ქვეეროვნული ხელისუფლება, მიუხედავად გატარებული გარკვეული რეფორმებისა, შეიძლება ითქვას, ფინანსურად ცენტრალიზებულია (ბაღდავაძე, 2019). ხოლო მეორე მხრივ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რაც, ვფიქრობთ, დამოკიდებულს ხდის ახალგაზრდულ ორგანიზაციას ადგილობრივ ხელისუფლებაზე და თავის მხრივ ვიღებთ ორმაგ დამოკიდებულებას: ცენტრი-პერიფერია, ახალგაზრდული ორგანიზაცია-ქვეეროვნული მთავრობა. აღნიშნულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა განაპირობოს ახალგაზრდული ორგანიზაციების დათანხმებლური პოლიტიკის გატარება, რადგან როდესაც ფინანსურად ჩამოკიდებული ხარ გარკვეულ სტრუქტურაზე გიწევს ამ სტრუქტურის იდეოლოგიასაც მოერგო. დეცენტრალიზაცია შეიძლება იყოს საშუალება, დემოკრატიისა და ქალაქის განვითარების კუთხით (Smoke, 2001). სწორედ ამიტომ საჭიროა ადგილობრივი მთავრობა სარგებლობდეს იმგვარი დეცენტრალიზაციით, რომლის მეშვეობითაც თავად იქნება ახალგაზრდული პოლიტიკის დამგეგმავი ადგილობრივ დონეზე და არ დაექვემდებარება ცენტრის დირექტივებს.

ახალგაზრდული ორგანიზაციების გარკვეული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები ცდილობენ მიაღწიონ მაქსიმალურ ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც მათი აზრით დემოკრატიზაციის პროცესს შეუწყობს ხელს ლოკალურ დონეზე. თუმცა გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, თავისთავად, არ გვაქვს არანაირი ლტოლვა ფინანსური დამოუკიდებლობისკენ, რადგან აღნიშნული სამთავრობო ორგანიზაცია ფაქტობრივად ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამამყარებელი მექანიზმია. შესაბამისად ლოგიკურიცაა, რომ ის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს, თუმცა მუნიციპალიტეტისგან დაფინანსება არ გამორიცხავს სხვა გრანტების მოძიებას და ამით ფინანსური სახსრების მოპოვებას. ფინანსური დამოკიდებულება ის ძირითადი რამაა, რაც ფაქტობრივად იძულებულს გხდის მთლიანად გახდე გარკვეულ სტრუქტურაზე დამოკიდებული, რადგან დღევანდელობაში გარკვეული თანხების გარეშე თითქმის შეუძლებელია განახორციელო აქტივობა,როგორ მუნიციპალურ ისე ცენტრალურ დონეზე. ჩვენი ვარაუდით, მუნიციპალიტეტზე დამოკიდებულებას განაპირობებს ის რომ ძირითადად ახალგაზრდულ ორგანიზაციებს არ ჰყავთ გამოცდილი კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ უცხოური გრანტების მოზიდვას, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი კი მათთვის უფრო ხელმისაწვდომია. ამიტომ ამგვარი დამოკიდებულება, რომელიც შეიმჩნევა გორის მუნიციპალიტეტში შესაძლოა ახალი არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლოც აღმოჩნდეს, აქედან გამომდინარე ცენტრალიზაციის დონის არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა იგი დროთა განმავლობაში უნდა დაიძლიოს და

დეცენტრალიზაციისკენ გადაიხაროს. მარტივად თუ ვიტყვით, საჭიროა ცენტრალიზაციის დონე დეცენტრალიზაციის განსავითარებლად.

დეცენტრალიზაცია შესაძლოა გახდეს ადამიანთათვის სტიმული პოლიტიკური სოციალიზაციის კუთხით, რადგან ცენტრალიზებული პოლიტიკა, ვფიქრობთ, საზოგადოებაში აჩენს შეგრძნებას, რომ საბოლოოდ ყველაფერს ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტს (ხატია, 2018). ხოლო ახალგაზრდები კი თავისთავად საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ, ასე რომ დეცენტრალიზაცია შეიძლება მათი მოტივატორი და პოლიტიკური ნიჰილიზმის გადამლახველიც აღმოჩნდეს. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით ახალგაზრდები პოლიტიკისგან გაუცხოებულები არიან (პარლამენტი, საქართველოს, 2020) აქტიური მოქალაქე კი სწორედ ჩართულობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შედეგად ყალიბდება, აქედან გამომდინარე საჭიროა მათი გარკვეული რაოდენობა მუნიციპალურ დონეზე, რადგან საზოგადოება და ამ შემთხვევაში ახალგაზრდები წარმოადგენენ იმ მაკონტროლებელ ფენას, რომელიც ხელისუფლებისთვის ხელისშემშლელად გვევლინება, ისეთ საკითხებში, რომელშიც ცდილობენ კერძო ინტერესის წინ წამოწევას და საჯარო ინტერესის დათრგუნვას, რომლის ნაწილი შეიძლება აღმოჩნდეს კორუფციაც (C. Simon Fan a, Chen Lin b, Daniel Treisman, 2009). აქედან გამომდინარე დეცენტრალიზაცია ერთ-ერთი მექანიზმია, რომლითაც შესაძლოა შევუწყოთ ხელი როგორც ადგილობრივი მთავრობის დამოუკიდებლობას გარკვეულ საკითხებში, ასევე ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ადგილობრივი დემოკრატია

ადგილობრივი დემოკრატიის შექმნა, მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას არ შეუძლია, რადგან თუ ამ პროცესში არ ჩაერთვება ხალხი, ამ შემთხვევაში კი ახალი თაობის წარმომადგენლები, მაშინ თავად დემოკრატიას ეკარგება აზრი, რადგან იგი თავად ქადაგებს მართვა-გამგეობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობასა და ამ ჩართულობის შედეგად მოქალაქეთა პოლიტიკური შესაძლებლობის განვითარებას (Pratchett, Local Autonomy, Local Democracy and the 'New Localism', 2004). აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების ჩართულობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობით, იქმნება გარკვეული საფუძველი ლოკალური დემოკრატიის შესაქმნელად. შესაბამისად, ჩვენი აზრით, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების არარსებობა, როგორც ეს გურჯაანის შემთხვევაშია, ფაქტობრივად, მათი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან მოწყვეტას გულისხმობს. ვინაიდან, გადაწყვეტილების მიღება საბოლოო ჯამში ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ხელშია, ამიტომ საჭიროა თანამშრომლობის პრინციპის ჩამოყალიბება არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და თვითმმართველ ორგანოს შორის ლოკალური დემოკრატიის შესაქმნელად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის განცხადებით ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის სპეციალურადაა გამოყოფილი ბიუჯეტი, რომლის ათვისება მხოლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ხდება და დაუშვებელია ბიუჯეტი თავად მერიის მიერ განიკარგოს და დაიხარჯოს იმ აქტივობებში, რომლის ინიციატორიც კონკრეტული მერიის თანამშრომელი შეიძლება იყოს. გურჯაანის შემთხვევაში კი რესპონდენტის განცხადებით ახალგაზრდებისთვის 300000 ლარია გამოყოფილი, მაგრამ ბუნდოვანია, თუ როგორ იხარჯება

ეს ბიუჯეტი სამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების არარსებობის შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ თავად მერია არის ახალგაზრდული ინიციატივის განმახორციელებელი. აღსანიშნავია ისიც რომ ბიუჯეტიდან ფინანსდება გურჯაანის „ახალგაზრდული საბჭო“, რომელსაც ყოველი ახალი პროექტისთვის 10000 ლარი აქვს გამოყოფილი. გურჯაანის და გორის მუნიციპალიტეტები შესაძლოა გარკვეულ კონტრასტს ქმნიდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციების კუთხით. შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული პოლიტიკა, როგორც ჩვენი კვლევის, ასევე გორის ახალგაზრდული დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, შეესაბამება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს, რის გამოც ადგილობრივი დემოკრატის ის ასპექტი, რომელიც ახალგაზრდებს უკავშირდება გორის მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად სრულდება, გურჯაანის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით. ანუ, გორში ახალგაზრდებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს თავად ახალგაზრდები „მართავენ“, ხოლო გურჯაანის მერიის წარმომადგენლის თქმით, ბიუჯეტს მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტი ანაწილებს და ხშირად, თავადვე ადგენს იმ საჭიროებებს და გეგმავს პროექტებს, რომლებიც მათი აზრით მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ მისი თქმით, ეს პროცესი არის გამჭვირვალე და ხშირად, არაფორმალურად, ისევე, როგორც „ახალგაზრდული საბჭოს“ წევრებს, ასევე სხვა ახალგაზრდებსაც ეკითხებიან რჩევებს, ასევე, ისინი მოხალისეობის პრინციპით მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ახალგაზრდას აძლევენ საშუალებას ჩაერთონ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ახალგაზრდულ პროექტსა თუ ღონისძიებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ან მოხალისეობის ან უშუალოდ პროექტში მონაწილეობის მხრივ. ამ ღონისძიებებში იგულისხმება, როგორც გასართობი, სპორტული, კულტურული ღონისძიებები, ასევე საგანმანათლებლო პროექტებიც, რომელიც მერიის წარმომადგენლის თქმით, გურჯაანის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულია, რადგან სწორედ განათლებული ახალგაზრდობაა ის ბერკეტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში კარდინალურ როლს ასრულებს.

კვლევის პროცესში ჩამოვაყალიბეთ და მივაგენით ეკვილიბრიუმის თეორიას, რომელიც ეკონომიკური თეორიიდან დავაკავშირეთ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოსთან (Aguirre, 2008). ეკვილიბრიუმის მიღწევის შედეგად იზრდება, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი და ჩართულობა ადგილობრივ პოლიტიკაში, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეკვილიბრიუმის თეორიის მიხედვით, საჭიროა თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორსა, ამ შემთხვევაში ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და თვითმმართველ ორგანოს შორის. მათი თანამშრომლობით იქმნება ეკვილიბრიუმი ანუ გაწონასწორება, რომელიც მთავარ მამოძრავებელ ზამბარას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესში. აღნიშნულ პროცესში ორივე აგენტი მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შედეგადაც მათ შორის ყალიბდება თანამშრომლობა.



სქემა 1.1

სქემის მიხედვით, თანამშრომლობის შედეგად ორივე მხარე, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციები ასევე, თვითმმართველი ორგანო გარკვეულ ჰარმონიაშია. დათმობა გორის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ ახორციელებს თვითნებურად პროექტებს და პრიორიტეტად მიიჩნევს ახალგაზრდების ჩართულობას და მათსავე გაწერილ პროექტებს მუნიციპალიტეტში. ამას კი ადასტურებს, როგორც არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალი თაობის“ წარმომადგენელი, ასევე გორის მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტის წარმომადგენელი. ხოლო, რაც შეეხება თავად ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ისინი თანხმდებიან მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასთან, რომ ქალაქის განვითარება მათთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ კუთხით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის შედეგად მოხდეს ძირეული გარდაქმნები, ხოლო ამ თანამშრომლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს გორის მერიის მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტება, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ისე ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციებით, რაც, ჩვენი აზრით წინ გადადგმული ნაბიჯია ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების კუთხით. ადგილობრივი დემოკრატიის და ზოგადად ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისთვის, მნიშვნელოვანია ის მიდგომები, რომლითაც ცდილობს *ქვეროვნული* ხელისუფლება მოსახლეობის, ამ შემთხვევაში, ახალგაზრდების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ უშუალოდ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საზრუნავი უნდა იყოს, რადგან ისინი წარმოადგენენ ქვეყნის, როგორც აღვნიშნე, შემდგომი ცვლილებების გამომწვევ საზოგადოებას (Checkoway, 2010). გორის

მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ახალგაზრდებთან მიმართებით გამოიყენება ეგრეთ წოდებული „უნივერსალური სამკუთხედის“ მიდგომა, რაც გულისხმობს, სამი პოლუსის არსებობას- ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და თავად მუნიციპალიტეტი(იხ სქემა 1.2).

სქემა1.2

აღნიშნული მიდგომის მიხედვით ახალგაზრდები არიან ის პირები, რომელთაც აქვთ გარკვეული იდეები, რომელთა გენერირებასა და თავმოყრას ახალგაზრდული ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს არტიკულაციასა და აგრეგირებასთან, რომლის შედეგადაც მივდივართ უშუალოდ თვითმმართველ ორგანოსთან, რომელიც ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულ პროექტს აფინანსებს, მხარს უჭერს და ეხმარება განხორციელებაში. გორის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში აღნიშნული გრაფიკი ეფექტიანად მოქმედებს, რაზეც მიუთითებს კვლევის პროცესში გამოკითხული ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები და თავად ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობენ. თუმცა, გურჯაანის შემთხვევაში არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების კომპონენტი მოშლილია და გვაქვს მხოლოდ სამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაცია. გურჯაანის



პირობებში მხოლოდ ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის არსებობამ, ანუ არაკონკურენტუნარიანმა გარემომ, შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადგილობრივი დემოკრატიზაციის პროცესზე, რომელიც შემდგომ განაპირობებს და პირდაპირ კავშირშია სრულიად ქვეყნის დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესებთან.

დასკვნა

ახალგაზრდული ორგანიზაციები ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების იმ კომპონენტს წარმოადგნენ, რომლებიც ახალგაზრდული ინიციატივების, იდეების და პრობლემების წარმომადგენლები არიან. მათი აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ეფექტური მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმარების ტოლფასია. შესაბამისად ისინი ადგილობრივი დემოკრატიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. პარალელურად ახალგაზრდული ორგანიზაციები გარკვეულწილად იღებენ პასუხისმგებლობას ქალაქის განვითარების კუთხით, რის შედეგადაც ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოსთან ერთად და შემთანხმებლური პოლიტიკით ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ პოლიტიკას. გურჯაანისა და გორის შედარებითმა ანალიზმა დაგვანახა თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს თვითმმართველობის განვითარების კუთხით და როგორ ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკა აღნიშნული მუნიციპალიტეტების შემთხვევაში. ერთი მხრივ გორის მუნიციპალიტეტში კონკურენტული გარემო ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების კუთხით ქმნის შესაძლებლობას გაიფილტროს და ყურადღება მიექცეს ახალგაზრდების პრობლემებს, ხოლო მეორე მხრივ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ახალგაზრდული პრობლემების იდენტიფიცირების როლს, მხოლოდ ერთი ორგანიზაცია ასრულებს, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭო.

მნიშვნელოვანია ასევე, ის მიდგომები, რომლებსაც ადგილობრივ დონეზე ატარებს თვითმმართველი ორგანო, რადგან ერთია ახალგაზრდების ინიციატივა ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამის საპირისპიროდ, მეორე ასპექტია, რამდენად აძლევს მუნიციპალიტეტი მათ ჩართულობის საშუალებას. ამ მხრივ გორისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები დაახლოებით ერთ დონეზე დგანან, თუმცა მნიშვნელოვანია განსხვავება ბიუჯეტის მხრივ, გორის შემთხვევაში ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები არიან ამ ბიუჯეტის ამთვისებლები, ხოლო, გურჯაანის შემთხვევაში, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობის გამო, ახალგაზრდული პროექტების ინიციატორი „გურჯაანის ახალგაზრდულ საბჭოსთან“ ერთად შესაძლოა მერიაც იყოს.

ბიბლიოგრაფია

Aguirre, I. (2008). *Non-Cooperative Game Theory .* Universidad del País Vasco .

C. Simon Fan a, Chen Lin b, Daniel Treisman. (2009). Political decentralization and corruption: Evidence from around the world. *Journal of Public Economics*, 14-34.

Checkoway, B. (2010). What is youth participation? *Children and Youth Services Review*, 340-345.

Esebua, P., Chacanidze, S., Rukhaadze, G., & Potskhverashvili, S. (2020). *Youth Policy Implementation At Local Level: Imiereti And Tbilisi.* Tbilisi : Friedrich Ebert Stiftung.

Haugaard, M. (2014). Democracy, Political Power And Authority. *JStore*, 1049-1074.

K.Miler. (2002). Advantage & Disadvantage Of Local. 2-17.

Mookherjee, D. (2015). *Political Decentralization.* Annual Reviews.

N.Urbinati. (2011). *The Future of Representative Democracy.* Cambridge.

Phillips, A. (1996). Why does Local Democracy Matter? In L. Pratchett, & David Wilson , *Local Democracy and Local Government* (pp. 20-38). Macmilan Press.

Pratchett, L. (2004). *Local Autonomy, Local Democracy and the 'New Localism'.* USA: SAGE Journals.

Pratchett, L. (2004). Local Autonomy, Local Democracy and the 'New Localism'. *SAGE Journal*, 358-375.

Sloman, J. D. (1990). Delegation Of Authority. *Integrated Network Management II*, 595-606.

Smoke, P. (2001). *Fiscal Decentralization in Developing Countries A Review of Current Concepts And Practice.* Geneva: United Nations Research Institute for Social Development.

Storm, K., Dalton, R., & Bingham Powell Jr. (2015). *Comperative Politics Today.* U.S.A: Charlyce Jones Owen.

Zeldin, S., McDaniel, A. K., Topitzes, D., & Calvert, M. (2000). *Youth In Decision-Making.* Innovation Center/Tides Center University of Wisconsin Extension.

ბაღდავაძე, რ. (2019). *ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკური და ეკონომიკური შეფასება: 2012-2018 წლებში, დეცენტრალიზაციის ხელის შემშლელი ფაქტორები.* თბილისი: Digital Repository of Georgian Scientific Works.

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. (2005 წლის 01 04). მოპოვებული smr.gov.ge: https://smr.gov.ge/uploads/prev/evropuli_q_354b65fe.pdf-დან

პარლამენტი, საქართველოს. (2020). *2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის" დამტკიცების შესახებ.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

საქართველოს პარლამენტი . (2017 წლის 17 07). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე .* მოპოვებული matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0-დან

ხატია, ჭ. (2018). *მოქალაქეთა ჩართულობის ბარიერები საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში.* თბილისი: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.